საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2014 წლის 1-2 დეკემბერი)

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 1-2 დეკემბერს, სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების[1] ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. წინამდებარე ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია.

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულება წარმოადგენს ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი შეადგეს 2050 მსჯავრდებულს. ვიზიტის პირველ დღეს დაწესებულებაში იმყოფებოდა 2027 მსჯავრდებული, ხოლო მეორე დღეს - 2041 მსჯავრდებული, აქედან 35 მსჯავრდებული უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებობს გარკვეული პრობლემები პატიმრების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაწესებულებაში პატიმართა დაზიანების აღრიცხვა სათანადოდ არ ხდება. ხშირ შემთხვევებში მითითებული არ არის დაზიანებების წარმომავლობა, მათ შორის საეჭვო ლოკალიზაციის და ხარისხის დაზიანების შემთხვევაში, რაც აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ დაწესებულებაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პატიმრების მიმართ ძალადობის ფაქტებს. პრობლემას წარმოადგენს N17 დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობის აუცილებლობისა და პროპორციულობის განსაზღვრა.

საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებს და რემონტს საჭიროებს. საკარანტინო საკნების ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ინფექციის კონტროლის მიზანს. საშხაპეებში დაზიანებულია მეტლახი. გაუმართავია წყლის გამწოვი სისტემა, რაც იწვევს წლის დაგუბებას და სინესტეს. ვიზიტის დროს დაზიანებული იყო სარეჟიმო კორპუსების სასეირნო ეზოში არსებული საკანალიზაციო სისტემა და ეზოში იდგა წყლის გუბე.

სრულად არ არის დაცული პატიმრების კვების სტანდარტები. პატიმრების ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავდნენ საკვების გემოსთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ დაწესებულების მაღაზიის

[1] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები: დანიელ მგელიაშვილი, მერი სამსონია, ხატია ხელაძე, ლევან არღვლიანი, გიორგი ფოცხვერიშვილი.
პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტები: ეკა ქობესაშვილი, ნინო ანდრიაშვილი, ირინა ფუტკარაძე, ხათუნა ჭყოიძე.

პროდუქციის სათანადო მომარაგება არ ხდება. ცალკეულ მსჯავრდებულთა განმარტებით, წყალს პერიოდულად აქვს ნალექი და თავისებური გემო. N17 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. სამედიცინო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია. დადგინდა, რომ ვიწრო სპეციალიზაციის ექიმ-კონსულტანტებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პატიმრების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, რაც უარყოფითად აისახება მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. პრობლემებია დაწესებულებაში მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მხრივ. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში არ მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა და პრობლემას წარმოადგენს ფსიქიატრთან კონსულტაციის საჭიროების განსაზღვრა.

მსჯავრდებულებს პრობლემები ექმნებათ სატელეფონო ზარების განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია სატელეფონო ბარათებთან. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუდმივად არის სატელეფონო ბარათების დეფიციტი, რაც ხელს უშლის პატიმრებს შეუზღუდავად ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებით.

2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას[2], არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[3] სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს პატიმრობაში მყოფი პირების ღირსებას. ამავდროულად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულება იყოს უსაფრთხო როგორც პატიმრებისათვის, ასევე დაწესებულების თანამშრომლების, ვიზიტორებისა და ზოგადად საზოგადოებისათვის. სახელმწიფოს ეს ორი ვალდებულება ერთიმეორეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ვინაიდან უსაფრთხოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ წესრიგზე ორიენტირებულ და სამართლიანად მართულ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს პატიმართა მიმართ ჰუმანურ მოპყრობას და სამართლიანობას.[4]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის

[2]წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება "წამება" ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშვება მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამოწვეული.

[3]ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 3

[4] Andrew Coyle, A Human Rights Approach to Prison Management: Handbook for Prison Studies, 2002, p. 58.

ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“[5]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პატიმრები იმყოფებიან სახელმწიფოს ექსკლუზიურ კონტროლ ქვეშ და აქედან გამომდინარე, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უჩნდებათ ვალდებულება პატიმრის ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული რეალური და იმწუთიერი რისკების პრევენციის მიზნით მიიღონ ყველა გონივრული ზომა, თუ მათ იციან ან უნდა სცოდნოდათ ასეთი რისკის არსებობის შესახებ.[6]

მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფს მსჯავრდებულებისაგან არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინება არ მიუღია, განხორციელებული შემოწმების შედეგად მონიტორინგის ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N17 დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის პრევენციის მხრივ გარკვეული პრობლემებია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ N17 დაწესებულებაში პატიმართა დაზიანების აღრიცხვა სათანადოდ არ ხდება. ხშირ შემთხვევებში მითითებული არ არის დაზიანებების წარმომავლობა, მათ შორის საეჭვო ლოკალიზაციის და ხარისხის დაზიანების შემთხვევაში, რაც აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ დაწესებულებაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პატიმრების მიმართ ძალადობის ფაქტებს. ასე მაგალითად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში არსებული ჩანაწერების მიხედვით:

- დ.გ.-ს აღენიშნება მარჯვენა თვალბუდის ჰემატომა, ექსკორიაცია; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- ნ.შ.-ს აღენიშნება დაჟეჟილი ნახეთქი ჭრილობა შუბლის არეში; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- გ.ბ.-ს აღენიშნება კანქვეშა ჰემატომა მარცხენა თვალბუდის და ცხვირის არეში; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- გ.ლ.-ს აღენიშნება თავის ნახეთქი ჭრილობა, ექსკორიაციები; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- ვ.ო.-ს აღენიშნება ცხვირის მიდამოში ნახეთქი ჭრილობა; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- კ.რ.-ს აღენიშნება ყელის არეში და მარცხენა წინამხრის ზედაპირზე ექსკორიაციები; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- ბ.ბ.-ს აღენიშნება ექსკორიაციები ყელის და მარჯვენა წინამხრის არეში; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.

[5] General Comment No 29, States of emergency (Article 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 August 2001, para.13a.

[6] სხვა მრავალ საქმეს შორის Pantea v. Romania (პანტეა რუმინეთის წინააღმდეგ), no. 33343/96, § 190, ECHR 2003-VI და Premininy v. Russia (პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ), no. 44973/04, § 84, 10 February 2011.

- ო.გ.-ს აღენიშნება ყელის არეში ექსკორიაცია; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- ი.ვ.-ს აღენიშნება პირის ღრუში ზედა ტუჩის მიდამოში ლორწოვანი გარსის ნახეთქი ჭრილობა; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- ნ.ს.-ს აღენიშნება გულმკერდის მარცხენა მიდამოში სისხლჩაქცევა, მრავლობითი ექსკორიაციები სახის მარცხენა ნახევარში, კისრის, მარცხენა მხრის და ბეჭის ირგვლივ მიდამოში. დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.
- ჯ.ხ.-ს აღენიშნება მარჯვენა თვალბუდის მიდამოში ექსკორიაციები; დაზიანების წარმომავლობა მითითებული არ არის.

დაზიანებების არასრულყოფილად დაფიქსირებაზე მიუთითებს ასევე ის ფაქტი, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმების ჩატარებამდე, N17 დაწესებულებიდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში პატიმრის სხეულის დაზიანების შესახებ შეტყობინება გაგზავნილია 227 შემთხვევაში, ხოლო დაწესებულებაში წარმოებულ „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში“ დაფიქსირებულია დაზიანების მხოლოდ 186 შემთხვევა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N17 დაწესებულების თანამშრომლების პროფესიული სწავლება არასათანადო მოპყრობის პრევენციის და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების დოკუმენტირების შესახებ;**

- **არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით უზრუნველყოს ობიექტური შიდა მონიტორინგის განხორციელება, გაატაროს მკაცრი ზომები იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არაჯეროვნად ასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებას არასათანადო მოპყრობის პრევენციის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევის დოკუმენტირების კუთხით.**

3. უსაფრთხოება

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო

გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას სწორედ ე.წ. „დინამიური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

პატიმრობის კოდექსის 57[1]-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი.[7]

დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, მათ არ გააჩნიათ არცერთი ზემოაღნიშნული სპეციალური საშუალება და შესაბამისად მისი გამოყენება არ ხდება.

უსაფრთხოების ღონისძიების სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში სამარტოო საკანში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, ხოლო უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში - 60 დღეს. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ 2014 წლის იანვრის თვიდან დეკემბრის თვემდე უსაფრთხოების მიზნით სამარტოო საკანში პატიმრის გადაყვანის შემთხვევა არ ყოფილა, ხოლო პირის სხვა პატიმრებისგან განცალკევების (უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის) 15 შემთხვევა დაფიქსირდა.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ ვიზუალური ან/და ელექტრონული

[7] ეს რედაქციაც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

სამწუხაროდ, პრევენციის ეროვნული მექანიზმი მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად შეისწავლოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების პრაქტიკა, ვინაიდან ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილება შეიცავს მწირ ინფორმაციას, დაუსაბუთებელი და შაბლონური ხასიათისაა, ხოლო ნებისმიერი ოპერატიული ინფორმაცია, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ასეთ გადაწყვეტილებას პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ხელმიუწვდომელია, მის საიდუმლო ხასიათზე მითითების საფუძვლით. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის იანვრის თვიდან დეკემბრის თვემდე N17 დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობა განხორციელდა 14 მსჯავრდებულის მიმართ. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების შაბლონური ხასიათი წარმოშობს ლეგიტიმურ ეჭვს, აღნიშნული ზომის პროპორციულობასთან მიმართებით, ასევე, ხდება თუ არა მეთვალყურეობის გამოყენება ყველა საჭირო შემთხვევაში.

ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის აუცილებლობის განსაზღვრის პრობლემას ნათლად წარმოაჩენს მსჯავრდებულ ნ.შ.-ს მიერ განხორციელებული სავარაუდო სუიციდის ფაქტი. აღნიშნული შემთხვევის შეფასებისას მონიტორინგის ჯგუფის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი გარემოებები: 2014 წლის განმავლობაში ნ.შ.-ს N17 დაწესებულებაში მიყენებული აქვს 11 თვითდაზიანება, აქედან ორ შემთხვევაში დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია (ნაკვეთი ჭრილობები კისრის არეში) წარმოადგენდა მისი სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველს. 2014 წლის თებერვლის თვეში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, იგი მიდრეკილი იყო აუტოტრავმებისა და სუიციდის მცდელობისკენ. 2014 წლის 16 სექტემბერს ნ.შ. გამოაცხადა შიმშილობა და იგი გადაყვანილ იქნა მოშიმშილეთა საკანში, თუმცა მასზე ელექტრონული მეთვალყურეობა არ განხორციელებულა. მომდევნო დღეს, 17 სექტემბერს ნ.შ. საკანში გარდაცვლილი აღმოაჩინა ექიმმა. მას კისრის არეში აღენიშნებოდა ღრმა ნაკვეთი ჭრილობა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სათანადოდ არ შეფასდა ზემოთ მითითებული გარემოებები და ნ.შ.-ს სუიციდის ან თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად, მასზე არ დაწესდა ელექტრონული მეთვალყურეობა, რისი კანონიერი საფუძველიც არსებობდა.

პენიტენციალურ სისტემაში მოთავსებული პატიმრების უსაფრთხოების დაცვის პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება სახელმწიფოს. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია არა მხოლოდ თავი შეიკავოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კანონიერი უფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ უნდა მიიღოს ზომები მათი უფლებების დასაცავად (პოზიტიური ვალდებულება). დაწესებულების ადმინისტრაცია და უპირველეს ყოვლისა, დაწესებულების დირექტორი ვალდებულია, უზრუნველყოს პატიმრის უსაფრთხოება და ამ მიზნით გაატაროს შესაბამისი ეფექტიანი ღონისძიებები.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა) და მე–13 (დაცვის ეფექტური საშუალებების არსებობა) მუხლები სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ამ მუხლებით დაცული უფლების დარღვევის შემთხვევაში ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება.[8]

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტიანია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან უზრუნველყოფილი იქნას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება;**

- **უზრუნველყოს დაწესებულების თანამშრომელთა სათანადო სწავლება, ძალადობის, თვითდაზიანების და სუიციდის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გაძლიერების და საჭირო ზომების დროულად მიღების მიზნით.**

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში სხვადასხვა ტიპის საკნებია. თითოეული საკანი 10 (30.4მ^2), 12 (32მ^2), 18 (47მ^2) და 24 (55მ^2) პატიმარზეა გათვლილი. ძირითად საცხოვრებელ საკნებში

[8] აღნიშნული ვალდებულების გათვალისწინებით, 2014 წლის 25 ნოემბერს სასჯელაღსრულების N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს სავარაუდო სუიციდის ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, რომ მთავარ პროკურატურას დაეწყო და ეწარმოებინა გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების თანამშრომლების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. მთავარმა პროკურორმა გაითვალისწინა აღნიშნული წინადადება, სისხლის სამართლის საქმე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს პროკურატურას და საქმის კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლიდან (თვითმკვლელობამდე მიყვანა) გადაკვალიფიცირდა 342^1-ე მუხლზე (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა).

არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებს[9].

სამეურნეო სამსახურში დასაქმებული პატიმრების საცხოვრებელ კორპუსში N19 და N21 საკნების ფართობია 42მ²-ს შეადგენს, თითოეულ საკანში მოთავსებულია 14 მსჯავრდებული. N3 საკანის ფართობია 34მ², საკანში მოთავსებულია 18 პატიმარი. აღნიშნული საკნების შემთხვევაშიც არ არის დაცული პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი მოთხოვნა.

საცხოვრებელ კორპუსებში არსებულ საკნებს აქვს გისოსებიანი ორი ფანჯარა. საკნებში საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებაა. საცხოვრებელ კორპუსებში არის გათბობის ცენტრალური სისტემა. რამდენიმე საკანში არ იღება ფანჯარა, ამიტომ ამოღებულია მინები. საცხოვრებელ კორპუსში არსებული საპირფარეშოები არის პატარა ზომის, იზოლირებული, ჭერი და კედლები ნესტიანია, არ არის წყლის რეზერვუარი. N17 დაწესებულების საცხოვრებელი საკნები სარემონტოა.

სამარტოო და საკარანტინო საკნები განლაგებულია დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში. სულ არის 26 საკანი. საკნების ფართობი 12-50 მ²-ის ფარგლებში მერყეობს. საკნები 2, 4, 6, 24 და 36 პატიმარზეა გათვლილი.

საკარანტინო საკნებს წარმოადგენს N25 და N26 საკნები. N25 საკნის ფართობი შეადგენს 50 მ²-ს. საკანში დგას 16 ორ იარუსიანი საწოლი. N26 საკნის ფართობია 35 მ². საკანში დგას 12 ორ იარუსიანი საწოლი. შესაბამისად, საკნის სრულად დატვირთვის შემთხვევაში წარმოიქმნება უკიდურესი სივიწროვე. მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით მიზანშეუწონელია 32 და 24 მსჯავრდებულზე გათვლილი საკარანტინო საკნების არსებობა, რადგან რამდენიმე მსჯავრდებულის ერთ საკარანტინო საკანში მოთავსება, ვერ უზრუნველყოფს ინფექციის კონტროლის მიზანს და შესაძლოა საკარანტინო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულთა შორის ინფექციის გავრცელება გამოიწვიოს.

სასეირნო ეზო

ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს 07:00-21:00 საათებში შეუძლიათ ისარგებლონ გასეირნების უფლებით, ტელეფონით, დაკავდნენ სპორტული აქტივობებით. დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში განთავსებულ მსჯავრდებულს შეუძლია დღის განმავლობაში ისარგებლოს 1 საათიანი გასეირნების უფლებით.

ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების სასეირნო ეზოებში არის მაგიდები, სკამები, სპორტული მოედნები და ვარჯიშისთვის საჭირო ინვენტარი. სასეირნო ეზოებში არის საერთო

[9] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები“

ტიპის საპირფარეშო და ხელსაბანი. სპორტული და დასასვენებელი ინვენტარი არ არის დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის სასეირნო ეზოში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს I და II სარეჟიმო კორპუსების სასეირნო ეზოში არსებული საკანალიზაციო სისტემა დაზიანებული იყო და ეზოში იდგა წყლის გუბე.

საშხაპე ოთახები

მონიტორინგის ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსებში არსებული საშხაპე ოთახები. საშხაპე ოთახებში არ არის გათბობა, არ ფუნქციონირებს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა. საშხაპეებში დაზიანებულია მეტლახი. გაუმართავია წყლის გამწოვი სისტემა, რაც იწვევს წლის დაგუბებას და სინესტეს.

დაწესებულების დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის საშხაპეები არ არის იზოლირებული. საშხაპე ოთახში არ არის ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია. ყველა საშხაპეში არის თითო სარეცხი მანქანა, გარდა დახურული ტიპის განყოფილებისა.

საგამოძიებო ოთახები

N17 დაწესებულების ადმინისტრაციის შენობის პირველ სართულზე არის საგამოძიებო ოთახები. აღნიშნულ ოთახებში გარდა საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებისა, პატიმრებს ხვდებიან ადვოკატები, სასულიერო პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ვისთან საუბრის კონფიდენციალურობა კანონით არის გარანტირებული. სულ 4 საგამოძიებო ოთახია, ყველა ოთახში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა.

საგამოძიებო ოთახებში არ არის ხელოვნური ვენტილაცია. ყველა ოთახს აქვს ერთი მეტალო-პლასტმასის ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს საკმარისი ბუნებრივი ვენტილაციით. საგამოძიებო ოთახები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. ყველა ოთახში დგას 1 მაგიდა და 4 სკამი.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

1. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ,

ა) ძირითად საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში უზრუნველყოფილი იქნას სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია;

ბ) საშხაპეში მოწესრიგდეს საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემები, დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით, საშხაპე გადაიტიხროს;

გ) მოწესრიგდეს საკანალიზაციო სისტემა მთელი დაწესებულების ტერიტორიაზე;

2. თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას 4 კვადრატული მეტრის ფართით.

4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულებაში არის 5 სარეჟიმო კორპუსი. ყველა მათგანს აქვს სასეირნო ეზო (I და II საცხოვრებელ კორპუსებს, ისევე როგორც III და IV კორპუსებს აქვს საერთო სასეირნო ეზო). სასეირნო ეზოები გამწვანებულია და აღჭურვილია ტრენაჟორებითა და ფეხბურთის სათამაშო მოედნებით (მხოლოდ V საცხოვრებელი კორპუსის სასეირნო ეზო არ არის სათანადოდ გამწვანებული). მსჯავრდებულები თავისუფლად გადაადგილდებიან მათივე საცხოვრებელი კორპუსისა და სასეირნო ეზოს ტერიტორიაზე. დაწესებულებაში ასევე არის დახურული ტიპის რეჟიმისთვის განკუთვნილი შენობა, სადაც თავსდებიან მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ასევე მოშიმშილე და დაწესებულებაში ახლად შეყვანილი პატიმრები. აღნიშნული შენობა იზოლირებულია სხვა საცხოვრებელი კორპუსებისგან, შესაბამისად აქვს თავისი სასეირნო ეზო.

დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ რეაბილიტაციის პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართვა ხდება მათივე ნება-სურვილით. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, მსჯავრდებულები განსაკუთრებულ ინტერესს ხეზე კვეთის, კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შემსწავლელი პროგრამების მიმართ ავლენენ.

2014 წლის 1 იანვრიდან მონიტორინგის ჩატარების დღემდე, სხვადასხვა პერიოდულობით განხორციელდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქტივობები. დაწესებულებაში ჩატარებული აქტივობების შესახებ მონაცემები, იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

N	აქტივობა	მხარდაჭერა	მონაწილეთა რაოდენობა
1.	სამოქალაქო განათლების ტრენინგი	NORLAG	21
2.	აგრესიის მართვა	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	10
3.	კომპიუტერი შემსწავლელი კურსები	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და ცენტრი „აფხაზეთი“	22

	„ACCES“		
4.	მინანქრის შემსწავლელი კურსი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კოლეჯი „მერმისი“	7
5.	ხეზე ჭრის შემსწავლელი კურსი	სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორგანიზებითა და დაფინანსებით ცენტრი „აფხაზეთი“	16
6.	ხეზე კვეთა	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით	29
7.	ხატვის შემსწავლელი კურსები	სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საქველმოქმედო ფონდი „აფხაზეთი“	15
8	მინანქრის შემსწავლელი კურსები	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საქველმოქმედო ფონდი „აფხაზეთი“	27
9.	სანერგე მეურნეობა	სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საქველმოქმედო ფონდი „აფხაზეთი“	17
10.	მცირე ბიზნესისა და სასტუმროს საქმის მწარმოებელი	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საერთაშორისო ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“	34
11.	სამოქალაქო განათლების პროგრამა	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“	27

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2014 წლის 1 იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით დაწესებულებაში ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები:

N	დასახელება	ორგანიზატორი	მონაწილეთა რაოდენობა
1.	დოკ. ფილმის „ადამიანის გონების“ ჩვენება	დაწესებულების სოც. განყოფილება	22
2.	დოკ. ფილმის „ავტომობილების დამზადების ტექნოლოგია“ ჩვენება	დაწესებულების სოც. განყოფილება	15
3.	დოკ. ფილმის „ისტორიული საიდუმლოებანის“ ჩვენება	დაწესებულების სოც. განყოფილება	20
4.	წიგნის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	30
5.	მხატვრული ფილმის „ოცნებების სასაფლაოს“	დაწესებულების სოც. განყოფილება	15

	ჩვენება		
6.	დოკ. ფილმის „ჭაბუა ამირეჯიბის“ ჩვენება	დაწესებულების სოც. განყოფილება	20
7.	მხატვრული ფილმის „სტივ ჯობსის ცხოვრების“ ჩვენება	დაწესებულების სოც. განყოფილება	25
8.	მხატვრული ფილმის „კლდე“ ჩვენება	დაწესებულების სოც. განყოფილება	25
9.	დოკ. ფილმის „წყალი“ ჩვენება	დაწესებულების სოც. განყოფილება	25

ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობებში მსჯავრდებულთა ჩართულობა არადამაკმაყოფილებელია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ სარეაბილიტაციო აქტივობებიც არ არის მრავალფეროვანი. მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულთა გამოკითხვის გზით მოხდეს მათთვის საინტერესო აქტივობების იდენტიფიცირება და შემდგომში ამ აქტივობების შეთავაზება, ასევე ამ აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად უნდა იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N17 დაწესებულების დირექტორს:

- **მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს პატიმართა ინტერესის სფეროები. უზრუნველყოფილ იქნას შეთავაზებული აქტივობების მრავალფეროვნება.**

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელაღსრულების N17 დაწესებულების სოციალური განყოფილების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში გაძლიერდეს სარეაბილიტაციო აქტივობები.**

5. ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო პერსონალის როლი

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება[10] და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას და საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო და გარემო პირობებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებას და ინფორმაციას, გენდერულ თანასწორობას.

ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე და წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე; დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე; მედიკამენტებზე; რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე (თანაბრად და დროულად); ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი[11].

5.1. კვება და სასმელი წყალი

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში დადგენილია ერთი ძირითადი და ორი სახის დიეტური მენიუ ღვიძლით და დიაბეტით დაავადებული მსჯავრდებულებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის ბრძანების მე-14 მუხლში დამატებით განსაზღვრულია დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი პატიმრებისათვის, კუჭ-ნაწლავის დაავადების მქონე, ასევე სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პოსტოპერაციოულ მსჯავრდებულთათვის. ამავე მუხლში ასევე მითითებულია, რომ პაციენტებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას, ექიმის დანიშნულების შესაბამისად შეიძლება შეეცვალოს ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას საკვების ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნები სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში სრულად დაცული არ არის.

[10] Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf [last visit on 31.05.2014]

[11] General comment N° 14 (2000) on the right to health, adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights.

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადა. დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა ნაწილი პატიმრებისა უკმაყოფილებას გამოხატავდნენ საკვების გემოსთან დაკავშირებით. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე გადაამოწმეს მაღაზიაში არსებული პროდუქციის მრავალფეროვნება და აღმოჩნდა, რომ დაწესებულების მაღაზიის პროდუქციის სათანადო მომარაგება არ ხდება.

დაწესებულებას წყალი უმეტესად მიეწოდება 24 საათის განმავლობაში. აღნიშნულ წყალს იყენებენ სასმელად, თუმცა ცალკეულ მსჯავრდებულთა განმარტებით, წყალს პერიოდულად აქვს ნალექი და თავისებური გემო.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **სრულად იქნას დაცული „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები;**

- **შეისწავლოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება;**

- **განხორციელდეს საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის სათანადო პერიოდული შემოწმება შესაბამისი სამსახურების მიერ.**

5.2. დაწესებულების სამედიცინო პერსონალი და ინფრასტრუქტურა

N17 დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საექიმო-სამედიცინო პუნქტში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. პუნქტში პაციენტთა მოსათავსებლად გამოყოფილია 2 პალატა. პალატები გათვლილია 10 პაციენტზე. სამედიცინო ნაწილი შედგება სტომატოლოგიური, ქირურგიული, სამანიპულაციო და კონსულტანტების კაბინეტისაგან. N17 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

დაწესებულების დასაქმებულია 9 ექიმი და 15 ექთანი. მორიგეობა ექიმებსა და ექთნებს სამ დღეში ერთხელ უწევთ. დაწესებულებაში ხდება შემდეგი კომპეტენციის მქონე კონსულტანტების მოწვევა: ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქირურგი, ორთოპედი/სტომატოლოგი, უროლოგი, რენტგენოლოგი, ლაბორანტი, სტომატოლოგი, ლაბორანტი, ფსიქოლოგი, ნარკოლოგი, ენდოკრინოლოგი. ექიმებისა

და ექთნების სამუშაო გრაფიკისა და პატიმართა რაოდენობის გათვალისწინებით სამედიცინო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია.[12]

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოფილ იქნას N17 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების მკაცრი დაცვა;**
- **უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ექიმებისა და ექთნების სათანადო რაოდენობა.**

5.3. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“[13].

ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვიწრო სპეციალიზაციის ექიმ-კონსულტანტებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პატიმრების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, რაც არ შეესაბამება სამედიცინო მომსახურეობის დროულად მიწოდების სტანდარტებს. ასე მაგალითად, სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა:

1. მსჯავრდებულ გ.ბ-ს ქირურგის მიერ 2013 წლის 1 მარტს გასინჯვის ფურცელში ფორმა N200-5/ა დაფიქსირებული აქვს, რომ ესაჭიროება მუცლის ღრუს ექოსკოპია და კოლონოსკოპია, რაც მონიტორინგის განხორციელების პერიოდში ჩატარებული არ ჰქონდა;

[12] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის თანახმად, როგორც წესი, სრულ განაკვეთზე მომუშავე ერთ ექიმზე არ უნდა მოდიოდეს 300, ხოლო სრულ განაკვეთზე მომუშავე ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/grc/2008-03-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 01.02.2015]

[13] Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

2. მსჯავრდებულ ვ.ბ-ს, 2014 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებული კონსულტაციის თანახმად, ესაჭიროება ნევროპათოლოგის კონსულტაცია, რაც მონიტორინგის განხორციელების პერიოდში არ ჰქონდა ჩატარებული;
3. მსჯავრდებულ დ.ტ-ს, ექიმის 2014 წლის 8 ივლისის რეკომენდაციის თანახმად, ესაჭიროება წელის სეგმენტის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. პაციენტი დარეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში, თუმცა მონიტორინგის განხორციელების დროისთვის გამოკვლევა არ ჩატარებია;

მსჯავრდებული თ.გ 6 თვის განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდა ნევროპათოლოგის კონსულტაციას. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკითხული მსჯავრდებულები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას გასტროენტეროლოგის იშვიათი ვიზიტის გამო. მათი განცხადებით 3-4 თვის განმავლობაში უწევთ ლოდინი, ვიდრე ჩაუტარდებათ გასტროენტეროლოგის კონსულტაცია. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კუჭ-ნაწლავის დაავადებათა პრევალენტობის გათვალისწინებით, გასტროენტეროლოგის ვიზიტებს შორის ხანგრძლივი დაყოვნება უარყოფითად აისახება მრავალი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

პრობლემებია დაწესებულებაში მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მხრივ. შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რიგ შემთხვევებში პაციენტი ვერ იღებს ექიმის მიერ მკურნალობის კომპლექსური კურსის ფარგლებში დანიშნულ ძირითად მედიკამენტებს. რიგ შემთხვევებში, ხდება დანიშნული მედიკამენტების ჩანაცვლება სხვა მედიკამენტებით, რასაც მწვავედ განიცდიან პაციენტები და რაც ხშირად ექიმსა და პაციენტს შორის დაძაბული ურთიერთობის მიზეზი ხდება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები;**
- **უზრუნველყოფილ იქნას მსჯავრდებულთა დანიშნული მედიკამენტებით მომარაგება;**
- **პატიმრები უზრუნველყოფილ იქნენ დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.**

5.4. დაზიანების დოკუმენტირება

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი სრულყოფილად არ იყო შევსებული. გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანება სრულყოფილად არ არის აღწერილი;
2. რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული დაზიანების წარმოშობის მიზეზი;
3. უმეტესად არ არის პატიმრის ხელმოწერა;
4. რიგ შემთხვევებში დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია მაღალი ალბათობით არ შეესაბამება დაზიანების წარმოშობის მიზეზის შესახებ არსებულ მითითებას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციების მიცემის გზით, რათა სამედიცინო პერსონალმა მოახდინოს პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირება.**

5.5. ფსიქიკური ჯანმრთელობა და სუიციდის პრევენცია

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის ნებისმიერ და განსაკუთრებით პენიტენციალურ რგოლში მთავარია პიროვნების ინტერესების დაცვა, მისი ღირსების პატივისცემა და მაქსიმალურად შესაძლებელ ჰუმანურ გარემოში მზრუნველობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად[14] პირის განთავსება სამარტოო საკანში გახანგრძლივებული დროით შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დასკვნის თანახმად, ხანგრძლივი ვადით სამარტოო საკანში მოთავსება შესაძლოა გაუტოლდეს წამებას და იგი არ უნდა იყოს გამოყენებული არასრულწლოვნებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებთან[15]. 2007 სტამბულის განცხადების შესაბამისად, სამარტოო საკნის გამოყენების შესახებ[16] მისი გამოყენება სრულად უნდა იქნას აკრძალული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრებთან მიმართებით.

ამ აკრძალვის საპირისპიროდ, N17 დაწესებულებაში 5 დღის განმავლობაში სამარტოო საკანში მოთავსებული იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებული ო.გ., რომელმაც სამარტოო საკანში სცადა სუიციდი.

აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსება და რომ ასეთი მსჯავრდებული უზრუნველყოფილი იქნას დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული

[14] CCPR, General Comment 20/44, April 3, 1992
[15] UN Subcommittee on Prevention of Torture (2010), report on the visit of the subcommittee on prevention of torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment to the republic of Paraguay (par 184).
[16] International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement,

დახმარებით. აქვე აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში არ მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა.

2014 წლის განმავლობაში დაწესებულებაში დაფიქსირდა სუიციდის ერთი ფაქტი. მსჯავრდებულმა ნ.შ.-მ, რომელიც დაავადებული იყო ორგანული პიროვნული აშლილობით (F07.0) 16 სექტემბერს გამოაცხადა შიმშილობა. ფსიქიკური პრობლემის მქონე მსჯავრდებული მარტო მოათავსეს, დაწესებულებაში მოშიმშილე მსჯავრდებულთათვის განკუთვნილ საკანში, სადაც არ იყო დამონტაჟებული სათვალთვალო კამერა. შიმშილობის დაწყების შემდგომ მსჯავრდებული ორჯერ მოინახულა დაწესებულების მორიგე ექიმმა. 17 სექტემბერს ნ.შ. საკანში გარდაცვლილი იპოვეს. სიკვდილის მიზეზად მითითებულია თვითდაზიანებით მიყენებული ღრმა ჭრილობა კისრის მიდამოში. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, დადგინდა, რომ შიმშილობის დროს ფსიქიკური პრობლემის მქონე პაციენტს არ ჩატარებია არც ფსიქოლოგის და არც ფსიქიატრის კონსულტაცია. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, N17 დაწესებულებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პატიმართა მდგომარეობის კონტროლი ხდება ოჯახის ექიმის მიერ. ოჯახის ექიმის მიერვე ხდება გადაწყვეტილების მიღება, თუ როდის საჭიროებს პაციენტი ფსიქიატრის კონსულტაციას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინიტრს:

- **შეისწავლოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებულ ო.გ.-ს სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევა და გაატაროს სათანადო ზომები პასუხისმგებელი პირების მიმართ. ასევე მიიღოს ყველა საჭირო ზომა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;**

- **N17 დაწესებულებაში ამოქმედდეს სუიციდის პრევენციის პროგრამა;**

- **N17 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით.**

6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა და წახალისება

ციხის ევროპული წესების თანახმად, დისციპლინური სახდელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.[17] ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა

[17] ევროპული ციხის წესები, წესი 56.1

შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.[18] ნებისმიერი სახდელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროპორციული.[19] აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სახდელები.[20] ამასთან, დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[21]

მონიტორინგის ფარგლებში მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით სამარტოო საკანში მოთავსების 68 შემთხვევა დაფიქსირდა. 16 შემთხვევაში სამარტოო საკანში მოთავსება 10 დღემდე ვადით განისაზღვრა, ხოლო 35 შემთხვევაში 10-დან 20 დღემდე. სამარტოო საკანში მოთავსების 68 შემთხვევიდან 16 შემთხვევაში (11 შემთხვევაში ექიმის ცნობის საფუძველზე) პატიმარი სამარტოო საკნიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა, ხოლო 52 შემთხვევაში - განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ. 2014 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 209 შემთხვევაში, აქედან 141 შემთხვევაში მსჯავრდებულს გამოეცხადა საყვედური, ხოლო 68 შემთხვევაში მსჯავრდებული მოთავსებული იქნა სამარტოო საკანში.

ვიზიტის ფარგლებში მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების სამარტოო საკნები და გაესაუბრა იქ მოთავსებულ მსჯავრდებულებს. დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამარტოო საკანში მოთავსებული მსჯავრდებულები სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პატიმრების წახალისების საკითხის დაყენება ხდება მათი ყოფა-ქცევის შესაბამისად, სოციალური განყოფილების მუშაკის პატაკის საფუძველზე. წახალისების შემთხვევათა სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

თვეები	**მადლობის გამოცხადება**	**ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა**	**ხანმოკლე პაემნით სარგებლობა**	**დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა**
იანვარი	41	2	0	3
თებერვალი	0	6	0	4
მარტი	5	17	5	0
აპრილი	5	6	4	0
მაისი	5	27	0	0

[18] იქვე წესი 56.2
[19] იქვე წესი 60.2
[20] იქვე წესი 60.3
[21] იქვე წესი 60.4

ივნისი	6	45	2	0
ივლისი	0	6	9	0
აგვისტო	0	10	4	0
სექტემბერი	0	19	5	3
ოქტომბერი	1	26	10	2
ნოემბერი	0	22	4	0
სულ 304	**63**	**186**	**43**	**12**

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ნათლად წარმოაჩენს, რომ დაწესებულების N17 დაწესებულების დირექტორი აქტიურად იყენებს პატიმრობის კოდექსით მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას. ზემოაღნიშნულ პერიოდში წახალისების 304 შემთხვევიდან ნახევარზე მეტ - 186 შემთხვევაში მსჯავრდებულები წახალისებულ იყვნენ დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭებით, რაც მისასალმებელია.

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.[22]

ხანმოკლე პაემანი

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

ევროპული ციხის წესების 24.4. მუხლის თანახმად, პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები, შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინით გადატიხრულ ოთახებში. ასეთ შემთხვევაში, პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან

[22] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „რეზოლუციური“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას, რაც საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოა.

ხანგრძლივი პაემანი

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს ჰქონდეს 1 წლის განმავლობაში 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 2 ხანგრძლივი პაემანი.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ოთახები არ იყო უზრუნველყოფილი გათბობით, დაწესებულების თანამშრომლებმა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს განუმარტეს, რომ მსჯავრდებულები სარგებლობენ მათი კუთვნილი ელექტრო გამათბობლებით.

ვიდეოპაემანი

პატიმრობის კოდექსის მე-17[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულისა და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირისა, უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან.

N17 დაწესებულებაში ერთი ოთახი არის ვიდეო პაემნისთვის, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით და ვიდეო-თვალით. აღნიშნული ოთახი ფუნქციონირებს ყოველდღე კვირის გარდა 10 საათიდან 6 საათამდე.

სატელეფონო საუბრები

პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულებს სატელეფონო ზარების განხორციელებასთან დაკავშირებით ექმნებათ პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია სატელეფონო ბარათებთან. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება, შესაბამისად აღარ აქვს დამატებითი სატელეფონო ზარის

განხორციელების საშუალება და იძულებულია შეიძინოს ახალი ბარათი, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სატელეფონო ბარათი იბლოკება თუ პატიმარი ბარათით განხორციელებული სატელეფონო ზარების ფარგლებში ვერ მოახერხებს საუბარს (სატელეფონო კავშირის გაწყვეტის, არასწორი ნომრის აკრეფის ან სხვა მიზეზების გამო). პატიმრების განმარტებით, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუდმივად არის სატელეფონო ბარათების დეფიციტი, რაც ხელს უშლის პატიმრებს შეუზღუდავად ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებით.

მიმოწერა

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა გამოითხოვა მოთხოვნა/საჩივრების, ასევე დახურული კონვერტების მოძრაობის სტატისტიკა, რომელიც თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	განცხადება/საჩივარი	მოთხოვნა	დახურული კონვერტი
1.	იანვარი	317	157	0
2.	თებერვალი	451	168	136
3.	მარტი	483	206	122
4.	აპრილი	429	148	129
5.	მაისი	295	166	214
6.	ივნისი	359	165	157
7.	ივლისი	514	203	93
8.	აგვისტო	465	358	100
9.	სექტემბერი	517	422	121
10.	ოქტომბერი	450	422	117
11.	ნოემბერი	468	369	110

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე;**
- **უზრუნველყოს N17 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილ ოთახებში სათანადო პირობების შექმნა.**